ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44.44221944**

თარიღი:**13/07/2022**

„ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივის“ ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ,,ბავშვზე მორგებული ქალაქის“ 2022 წლის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის 2020 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე „ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივის“ მონაწილეობის ფარგლებში, საჭიროა დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ,,ბავშვზე მორგებული ქალაქის“ 2022 წლის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის 2020 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე „ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივის“ მონაწილეობის ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ,,ბავშვზე მორგებული ქალაქის“ 2022 წლის სამოქმედო გეგმა N1 დანართის შესაბამისად.

/დანართი N1 ბრძანებას თან ერთვის/

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის 2020 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე „ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივის“ მონაწილეობის ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ,,ბავშვზე მორგებული ქალაქის“ 2022 წლის სტრატეგია N2 დანართის შესაბამისად.

/დანართი N2 ბრძანებას თან ერთვის/

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქ. N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი